

მოქალაქეობის ეროვნება

მთარგმნელი: ნატალია ბარათაშვილი

აბსტრაქტი

სოციალური მოქალაქეობის გაბატონებული, მარშალიანური პარადიგმის ნგრევა გამოიწვია იმ სოციალურმა და ეკონომიკურმა ფაქტორებმა, რომლებიც ამყარებდნენ ომის შემდგომი დიდი ბრიტანეთის კეთილდღეობის იდეის კონსენსუსს. აღნიშნულის მოდიფიცირება გამოიწვია მთელმა რიგმა ეკონომიკურმა და ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა. სტატია გამოყოფს სამი ტიპის სოციალურ იდენტობას, რომლებიც ეფექტური (ქმედითი) უფლებების ბაზისზე დაშენდა, რაც თავის მხრივ მოიცავდა შრომაში, ომსა და რეპროდუქციაში მონაწილეობას. სოციალური იდენტობის სამი ტიპია: მშრომელები, სამხედროები და მშობლები.

მუდმივ სამუშაო ადგილებზე დასაქმება გარდაიქმნა არამუდმივ, მერყევ პირობებში მუშაობად. ამ ფაქტორმა და ომის ტექნოლოგიურმა განვითარებამ გამოიწვია თვითონ სამუშაოსა და ომის, როგორც ეფექტური მოქალაქეობის მიღწევის შესაძლებლობის, ეროვნება. მნიშვნელობას არ კარგავს რეპროდუქციის გზით სოციალური მონაწილეობის პრაქტიკა, ქორწინებაში მასობრივი ღალატისა და ოჯახის ინსტიტუტში გამოწვეული ცვლილებების მიუხედავად. ფაქტობრივად, ახალი რეპროდუქციული ტექნოლოგიების ზრდამ გაზარდა ქორწინების, როგორც სოციალური ურთიერთობის, ნორმატიული დომინირების ხარისხი. რეპროდუქციის ამ უფლებებს აღვწერ „რეპროდუქციული მოქალაქეობის“ სახელით. მოცემული სტატიის ფარგლებში აგრეთვე განხილულია ე.წ. „მესამე გზის“ სტრატეგიის შემუშავებაში ნებაყოფლობითი გაერთიანებების როლი, რომლებიც სოციალური შეკავშირების წყარო ხდება იმ საზოგადოებებში, რომლებშიც სოციალური კაპიტალი იკლებს და ნებაყოფლობითი გაერთიანების სექტორი სულ უფრო მეტად ხდება ეკონომიკურ დამგროვებულ ლოგიკას დამორჩილებული.

ნაციონალური მოქალაქეობის ეროვნების კვალდაკვალ მარშალიანური სამი ფორმის უფლებები (სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური) გაძლიერებულ იქნა გლობალური უფლებებით, კერძოდ, ეკოლოგიური, აბორიგენული (ადგილობრივი) და კულტურული უფლებებით. აღნიშნული ტენდენცია გამოიწვია წუხილმა, რომელიც მიემართება გარემოს, საზოგადოებასა და სხეულს შორის კავშირს. შესაბამისად, სოციალური უსაფრთხოების ძიება ჩანაცვლებულ იქნა, ონტოლოგიური უსაფრთხოების წუხილებით.

საკვანძო სიტყვები: მოქალაქეობა; გლობალიზაცია; ნებაყოფლობითი გაერთიანებები; ომი; სამუშაო; რეპროდუქცია.

მარშალი და მოქალაქეობის თეორია

მოქალაქეობის მარშალიანური თეორია ფართოდ განიხილებოდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში. დღეს უკვე მარტივად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ თეორიის ძირითადი ასპექტები და ასევე შევაჯამოთ კრიტიკა, რომელიც აღნიშნულ თეორიას მიემართება. მარშალმა მოქალაქეობა დაყო სამ ნაწილად. სამოქალაქო კომპონენტი აუცილებელი წინაპირობა იყო ინდივიდუალური თავისუფლებების მიღწევისათვის და მოიცავდა ისეთ ელემენტებს, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება, საკუთრების უფლება და მართლმსაჯულების უფლება. პოლიტიკური კომპონენტი მოიცავდა პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობის უფლებას, კერძოდ, თავისუფალი არჩევნებისა და ფარული კენჭისყრის უფლებას. რაც შეეხება, სოციალურ კომპონენტს, მარშალმა აღნიშნული ჩამოაყალიბა, როგორც უფლება "მინიმალურ ეკონომიკურ კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე, რა პირობებშიც ინდივიდს აქვს შესაძლებლობა სრულად გაიზაროს სოციალური შემკვიდრება და იცხოვროს როგორც ცივილიზებულმა არსებამ" (Marshall 1950 {1964} : 69).

აღნიშნული სამი კომპონენტი ჩამოყალიბდა მე-17 საუკუნიდან მე-20 საუკუნემდე შუალედში ინსტიტუციური დიფერენციაციის შედეგად, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო სპეციალური სააგენტოების ჩამოყალიბებას, რომლებიც ამ უფლებების გამოხატვას უზრუნველყოფდნენ. გარდა სამად დაყოფილი უფლებებისა, არსებობდა მთელი რიგი ინსტიტუტებისა, რომლებიც აღნიშნულ უფლებებს სოციალურ გამოხატულებას ანიჭებდა, კერძოდ, სასამართლოები და მართლმსაჯულების სისტემა, პარლამენტი და ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოები და ასევე, განათლებისა და სოციალური სერვისების სისტემები.

მარშალის თეორიის ღირსებას წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ მოქალაქეობა გარდაქმნის კაპიტალისტური ბაზრის უარყოფით გავლენას, რესურსების გადანაწილების უფლებრივი საფუძვლის მეშვეობით, რაც იწვევს მუდმივ წინააღმდეგობას ერთი მხრივ, თანასწორობის დემოკრატიულ გაგებასა და მეორე მხრივ *de facto* უთანასწორობას შორის, რომელიც, ძირითადად, ახასიათებს კაპიტალისტურ ბაზარს და მომხვეჭელობასა თუ სიმდიდრის შემგროვებლობაში, კონცენტრირებაში გამოიხატება. საზოგადოების შიგნით არსებობს დინამიური და წინააღმდეგობრივი ურთიერთობა კაპიტალიზმსა და მოქალაქეობას შორის, ან სხვა აბსტრაქტულ ტერმინებს - სიმწირესა და სოლიდარობას შორის.

ომის შემდგომ პერიოდში დიდ ბრიტანეთში მოქალაქეობამ იდეალებისა და მისწრაფებების, მშვიდობის ინსტიტუციონალიზაცია მოახდინა, რაც თავის მხრივ სოციალურ კეინსიანიზმს განასახიერებდა. ამ თვალსაზრისით, მოქალაქეობა არის სტატუსით განსაზღვრული პოზიცია, რომელიც ამცირებს ეკონომიკური კლასის უარყოფით ეფექტებს კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მოქალაქეობის, როგორც სტატუსის ერთ-ერთი პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ სტატუსებს შორის განსხვავება ერთი მხრივ, შეიძლება იყოს უთანასწორობის მიზეზი (სტატუსით განსაზღვრული უფლებებრიობა), ხოლო მეორე მხრივ, მოქალაქეობას, როგორც სტატუსს, შეუძლია შეამციროს კლასობრივი უთანასწორობა. სტატუსით განსაზღვრული უფლებებრიობა სოციალური უზრუნველყოფის ბიუროკრატიული სისტემის პირობებში, რესურსთა სიმწირის გამო, სტატუსთა შორის კონკურენციის მიზეზი ხდება (Lockwood 1996; Runciman 1996; Turner 1989). მარშალმა აღნიშნული საკითხი გააანალიზა შესაძლებლობების თანასწორობასა და პირობების თანასწორობას შორის პარადოქსული ურთიერთობის განხილვისას, განათლების მიღწევებისა და სოციალური მობილობის მაგალითებით. სოციალური მობილობის პროცესი, რომელიც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო სერტიფიცირებულ განათლებაზე, მიზნად ისახავდა მემკვიდრეობითი პრივილეგიის მოცილებას, მაგრამ პრაქტიკაში ეს ნიშნავდა „განსხვავებების გამოვლენისა და განვითარების უფლებას“ (Marshall 1950 {1964}:94). მოქალაქეობა, როგორც სოციალური წევრობის პრინციპი, ამავედროულად სოციალურ გარიყულობას წარმოშობს, რადგან ის ეფუძნება სოციალურ კონფლიქტებს იმის შესახებ, თუ ვის რაზე აქვს ან არ აქვს უფლება.

მარშალის პარადიგმა გაკრიტიკებული იყო სხვადასხვა, ლიბერალური, მარქსისტული და კონსერვატორული, მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, ამ თეორიამ ვერ შეძლო ეფექტური ანალიზის გაკეთება იმ მიზეზობრივ კავშირსა თუ მექანიზმებზე, რამაც მოქალაქეობის გაფართოება გამოიწვია. ყველაზე აშკარა, რაც ახსნიდა სოციალური უფლებების საზღვრების ზრდას მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში, იყო მუშათა კლასის კონფლიქტების გავლენა ეკონომიკურ უფლებებზე, რომლებიც დაკავშირებულია დასაქმებასთან, ავადმყოფობასთან და პენსიის მიღებასთან (Montgomery 1993; Parker 1998). ამ მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავებები იყო ამერიკულ და ბრიტანულ დებატებს შორის. დიდ ბრიტანეთში სოციალური უფლებების საზღვრების ზრდის მთავარ ფაქტორად მოიაზრებოდა კლასობრივი უთანასწორობა ძირითად რესურსებზე (როგორიც იყო: საცხოვრისი, განათლება და სოციალური დაცვა) ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ამერიკული დებატები მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებით, ძირითადად, მიგრაციასა და სოციალურ მობილობას უკავშირდებოდა. მოქალაქეობის ამერიკული გამოცდილება ეხებოდა სამოქალაქო იდეალების განხორციელების წარმატებულ ან წარუმატებელ დანერგვას რასობრივი დაყოფისა და კონფლიქტების კონტექსტში (Smith 1997). მოქალაქეობის განვითარების სხვა ძირითადი მიზეზ-შედეგობრივი მახასიათებელი როგორც ამერიკაში, ასევე დიდ ბრიტანეთში, იყო თანამედროვე ომის გაუთვალისწინებელი

შედეგები. ყოვლისმომცველი ჯანდაცვის სისტემის იდეამ ფართო აღიარება მოიპოვა ომის წლებში, მთავრობამ შემოიტანა ჯანდაცვის ეროვნული სერვისი, რომელიც უფასო მკურნალობას სთავაზობდა ყველა მოქალაქეს. საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო დიდ ბრიტანეთში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და სამოქალაქო უფლებების მოძრაობა ამერიკაში, ვიეტნამის ომის შემდეგ, იყო პასუხი საზოგადოების მობილიზებასა და საზოგადოების თვითკრიტიკულ შეხედულებებზე. ამ მიზეზს შეიძლება ვუწოდოთ **"ტიტმუსის ეფექტი"**. რიჩარდ ტიტმუსი (1962: 188) თავის ნაშრომში, *„შემოსავლის განაწილება და სოციალური ცვლილება“*, ამტკიცებდა, რომ ომი მნიშვნელოვანი სტიმული იყო ეროვნული თვითკრიტიკისა და სოციალური ცვლილებებისთვის.

მეორე კრიტიკა არის ის, რომ მარშალი მოქალაქეობას განიხილავდა, როგორც ერთგვაროვან კონცეფციას და არ ცდილობდა მოქალაქეობის ტიპების დიფერენცირებას ან მოქალაქეობის განსხვავებული ფორმების სხვადასხვა ისტორიული განვითარებისა და ტრანსფორმაციის შედარებით ანალიზს. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში კაპიტალისტური მოდელის ნაირსახოვანი განვითარების ფონზე, მოქალაქეობამ მიიღო სხვადასხვა ფორმა.

ნიშანდობლივია, რომ მარშალი არ განასხვავებს აქტიურ და პასიურ მოქალაქეობას (Turner 1990). რომელი ისტორიული და სოციალური მოცემულობები განაპირობებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტურ, აქტიურ ჩართულობას და არა უბრალოდ პასიურ მონაწილეობას? წარსულში რევოლუციური ბრძოლები და ომის დამანგრეველი შედეგები იწვევდა მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას, მაგრამ, როგორც ტიტმუსს მიაჩნდა, შეიძლება დაგვჭირდეს ახალი საშუალებების მოფიქრება ეროვნული კრიტიკული გამორკვევისა და მოქალაქეობის ფორმირების საკითხებისთვის იმ დროს, როდესაც ბირთვულმა და ბიოლოგიურმა ომებმა ის პირობები შეცვალა, რაც საკმარისი იყო დაბრუნებული სამხედროების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მესამე, მარშალი თავის ანალიზში მოიაზრებდა ჰეტეროგენულ საზოგადოებას, რომელშიც რეგიონალური, კულტურული და ეთნიკური დაყოფა არ იყო მნიშვნელოვანი სოციალური კლასების დაყოფასთან შედარებით. მარშალი მუშაობდა იმ პოლიტიკურ კონტექსტში, სადაც გაერთიანებული სამეფოს ერთიანობის პრობლემა არ იდგა. „ინგლისელობის“ კულტურული და კონსტიტუციური პრობლემა მარშალის დროს ბრიტანეთში მთავრობის ცვლილებისას ძნელად წარმოსადგენი იყო. მარშალის მთავარ სისუსტედ გვევლინება ეროვნულ მოქალაქეობასთან დაკავშირებით ეთნიკური და რასობრივი დაყოფის უგულებელყოფა (Crowley 1998).

დასასრულს, მარშალის თეორია, უპირველეს ყოვლისა, უფლებების თეორია იყო, თუმცა ის არაფერს ამბობდა ვალდებულებებსა და მოვალეობებზე. თეორია გვთავაზობდა პასიურ მოქალაქეობას, სადაც სახელმწიფო უნივერსალური უფლებების კონტექსტით, იცავდა ადამიანს ბაზარზე მიმდინარე გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი მოვლენებისაგან. პოლიტიკონომისტები აკრიტიკებდნენ მარშალის მოქალაქეობის პარადიგმას, როგორც ლიბერალურ რეფორმიზმს. მათი აზრით, პარადიგმა ცენტრში მხოლოდ ფორმალურ უფლებებს აყენებდა, ყოველგვარი არსებითი სარგებლობის გარეშე. კრიტიკოსები ირწმუნებოდნენ, რომ მოქალაქეობის ეროვნია უბრალოდ „მმართველი კლასის სტრატეგია“, რომლის მიზანიც მხოლოდ მოქალაქეობის დაპირებით ჩვეულებრივ მუშათა კლასზე ზეგავლენის მოპოვებაა (Mann 1987). როგორ გადაიქცევა მოქალაქეობის უფლებები (entitlement) უფლებებზე წვდომის ეფექტურ ფორმად? ამ შემთვევაში ჩემი არგუმენტი ისაა, რომ მოქალაქეობა, როგორც სტატუსი, თავისთავად არ არის საკმარისი უფლების ეფექტური გარანტირებისთვის. ეფექტური ანუ ქმედითი მოქალაქეობა დამოკიდებულია უფლების (ანუ მოქალაქედ ყოფნის სტატუსის) სამ ფუნდამენტურ კომპონენტზე, ესენია: შრომა, ომი და რეპროდუქცია.

მოქალაქეობის ქმედითი სტატუსის მიღწევის სამი გზა

უფრო მნიშვნელოვანია, მოქალაქეობა გავიგოთ, როგორც პროცესი, ვიდრე წარმოვიდგინოთ იგი უფლებებისა და მოვალეობების სტატიკურ განმარტებად. მოქალაქეობა

ერთდროულად ინკლუზიური პროცესია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული რესურსების გადანაწილებასთან და ამასთანავე ის გამრიყველი, ექსკლუზიური პროცესია, რადგან ის ეფუძნება იდენტობის საერთო ან წარმოსახვით მშენებლობას და გარიყავს სხვებს, რომლებიც ამ წარმოსახვაში არ ჯდებიან. მოქალაქეობის სტატუსის მიღება შეზღუდულია სხვადასხვა კრიტერიუმით, რაც დაკავშირებულია არასაკმარისი რესურსების გადანაწილებასთან. ამასთანავე, მოქალაქედ გახდომის პროცესი ხასიათდება ძლიერი იდენტობის შექმნით, რომელსაც არა მხოლოდ იურიდიული, არამედ ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური განზომილება აქვს (Isin და Wood 1999). მაგალითისთვის, ეროვნული მოქალაქეობა მე-19 საუკუნეში რასობრივ კუთვნილებაზე იყო აგებული, რაც იმთავითვე გამორიცხავდა „უცხო“ მონიშნული ეთნიკური ანდაც ნაციონალური იდენტობისა და მიკუთვნებულობის ადამიანებისა და ჯგუფებისთვის რესურსების განაწილებას. მოქალაქეობა პოლიტიკურ საზოგადოებაში უფლებების (entitlements), მოვალეობებისა და იმუნიტეტის გადანაწილების პროცესების ერთობლიობაა. თავისთავად ეს უფლებები (entitlements) ეფუძნება მთელ რიგ პრინციპებს და იმ კონკრეტულ წვლილს აღწერს და აფასებს, რომელიც ადამიანებმა შეიტანეს საზოგადოების ფორმირებაში. ამ წვლილს ხშირად სამხედრო სამსახურში მსახურების, შრომის ან რეპროდუქციის სახე აქვს.

ისტორიულად, სოციალური უფლებები მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადამიანთა (განსაკუთრებით მამაკაცთა) ფორმალურ სამუშაო ბაზარში ჩართულობასთან. შრომა ფუნდამენტური იყო დიდ ბრიტანეთში კეთილდღეობის სახელმწიფოს მოქალაქეობის კონცეფციისთვის (Beveridge 1944 და 1948). ადამიანებს შეეძლოთ სამუშაო ბაზარზე მონაწილეობით, კერძოდ, საქონლისა და სერვისის წარმოებით, მიეღოთ ეფექტური უფლებები (entitlements), რაც სამომავლოდ მათ ადეკვატურ პენსიებსა და სიბერეს უზრუნველყოფდა. აღნიშნული უფლებრივი პაკეტი, როგორც წესი, მოიცავდა დაზღვევის, პენსიისა და ჯანდაცვის სერვისით მომსახურებას. დიდ ბრიტანეთში კლასობრივი კონფლიქტი ინსტიტუციონალიზებული იყო რეფორმისტული პროფკავშირის მეშვეობით და მთავრობას, დამსაქმებლებსა და მშრომლებს შორის სხვადასხვა კომპრომისებით (რომელსაც სოციალური ხელშეკრულების ფორმის სახელით მოიხსენიებენ). ის ეფუძნებოდა იდეას, რომ მოქალაქის მთავარი ვალდებულებაა შრომა, რადგან შრომა წარმოადგენს მოქალაქეობის მთავარ საფუძველს.

მეორე და ასევე მნიშვნელოვანი გზა უფლებების (entitlement) დამკვიდრებისთვის იყო სამხედრო სამსახური. ამასთან ის მოიცავს იმგვარ უფლებებს, როგორიცაა ჯარისკაცისა და მისი ოჯახისთვის განსხვავებული პენსიები, ჯანდაცვის სერვისებსა და განათლებაზე ხელმისაწვდომობა. როგორც ვხედავთ, სამხედრო სამსახურში მსახურებამ გარკვეული ევოლუცია გამოიწვია სოციალური უფლებების ჩამოყალიბებისა და განვითარების გზაზე (Titmuss 1963).

უფლებათა (entitlement) აღიარებისა და მიღების მესამე გზას კი ოჯახებად, კომლებად ცხოვრება და ბავშვთა შობადობა, რეპროდუქციული გზით უფლებრიობის მიღწევა წარმოადგენდა. ეს ბოლო დროს უფრო და უფრო მოიცავს მოხუცებზე ზრუნვასაც, რადგან ამ სახის ზრუნვა ხშირად ექცევა პირად, პრივატულ სფეროში (Finch 1989). რეპროდუქციული გზა გულისხმობდა ქალისა და მამაკაცის კავშირს გამრავლების (ქვეყანაში მოქალაქეთა ზრდის) მიზანსა და ოჯახის, როგორც ინსტიტუტის, ლეგიტიმაციას, უფლებრიობისა და უსაფრთხოების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი კავშირი, კანონის მიხედვით, კერძო სფეროს ნაწილად მიიჩნეოდა, ის მაინც საზოგადოებრივ-მორალური, სახელმწიფოებრივი, რელიგიური კონტროლის, დაკვირვებისა და მუდმივი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, ეს განსაკუთრებით არარეგისტრირებულ კავშირებს ეხებოდა. ჰეტეროსექსუალური გამრავლება თანამედროვე სახელმწიფოსთვის პრინციპული ფუნქციური განვითარების ბაზის წარმოადგენს. ის ფასეულობები და მორალური კატეგორია, რომელიც დამახასიათებელია ოჯახისთვის, როგორც ინსტიტუტისთვის, უზრუნველყოფს თანამედროვე სოციალური ცხოვრების დომინანტურ სახესა და ერთგვარ იდეალს იმის მიუხედავად, რომ, როგორც სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა, ქორწინება გამრავლების წინაპირობად უფრო მეტად მორალური და საზოგადოებრივი მეხედულებებიდან გამომდინარე იქცა, ვიდრე რეალური, ფაქტებზე დაფუძნებული მოცემულობებიდან (Matheson და Summerfield 2000). ქორწინების, როგორც ოჯახური ცხოვრების მორალური იდეის, გაბატონებამ

თანამედროვე საზოგადოებაში იმდენად დიდი აღიარება და მნიშვნელობა შეიძინა, რომ ის მთელი რიგი უფლებების წყაროდ იქცა.

ეფექტური (ქმედითი) მოქალაქეობის ამგვარმა პირობებმა აქტიური მოქალაქეობის მოდელი ჩამოაყალიბა, რამაც საბოლოოდ წვლილი შეიტანა სამოქალაქო საზოგადოებაში, რაც „სოციალური კაპიტალის“ სახელითაა ცნობილი (Dasgupta და Serageldin 2000). აქტიური მოქალაქეობა მხარს უჭერდა სამუშაოსთან დაკავშირებულ ასოციაციებს (როგორიცაა მუშათა კლუბები, პროფკავშირული ორგანიზაციები, გილდიები და პოლიტიკური ორგანიზაციები, როგორიცაა ტრადიციული ლეიბორისტული პარტია). ეს ორგანიზაციები, პრაქტიკულად, შუამავალს წარმოადგენდნენ სახელმწიფოსა და ინდივიდებს შორის და მორალურ კონტროლს უზრუნველყოფდნენ (Turner 1999). ნიშანდობლივია, რომ მე-20 საუკუნის მასობრივი ომების ფონზე, რომლებმაც ტრადიციულ საზოგადოებას ძირი გამოუთხარა, ასევე შეიქმნა უამრავი სოლიდარობის კავშირი, გაერთიანება (განსაკუთრებით მამაკაცების შემადგენლობით), რომლებიც ეხმარებოდა ყოფილ ჯარისკაცებს მათი საჭიროებების უზრუნველყოფაში. მშობლობამ ასევე ფართო სოციალურ სოლიდარობას დაუდო დასაბამი, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა ორგანიზაციების, დედათა და ბავშვთა, ქალთა ჯგუფების, სასკოლო და რელიგიური ასოციაციებისა და გაერთიანებების ჩამოყალიბებაში.

მოქალაქეობის ზემოხსენებული მოდელის ნგრევა გამოიწვია ეფექტური (ქმედითი) მოქალაქეობის სამი საფუძვლის რყევამ, რაც თავის მხრივ, ომის, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების შედეგი იყო. ეკონომიკური საქმიანობების გაფართოებამ და ანაზღაურებად შრომაში სხვადასხვა ახალი ჯგუფის შემოყვანამ (მაგალითად ქალების დასაქმება) ეკონომიკური ლიბერალიზაცია გამოიწვია, თუმცა ეს მოხდა მშრომელთა ძალის უფრო მერყევ და არასტაბილურ პირობებში დასაქმებით. ეჭვქვეშ დგება სამსახურის გარანტია, იზრდება დროებით სამსახურებსა და ნახევარ განაკვეთზე დასაქმება. მშრომელებს უკვე აღარ აქვთ მუდმივი, მყარი სამსახურებისა და კარიერის გარანტია. წყალი უდგება პროფესიულ გაერთიანებებსა და პროფკავშირებსაც და სამუშაო ადამიანების იდენტობას ისე აშკარად და მყარად აღარ განსაზღვრავს. კლასზე დაფუძნებული იდენტობის შეგრძნება ნელ-ნელა ქრება კლასობრივი საზოგადოებების (ჯგუფების) გაუჩინარების კვალდაკვალ. სოციალური თეორიის გადმოსახედიდან, ამგვარი სოციალური ცვლილებები, სოციალური კლასის ძლიერი თეორიის დასუსტებას, მის დაქვეითებას მოასწავებდა (Holton 1996).

სოციალური კლასის კვლევა ცხადყოფს, რომ 1990-იანებში მცირდება უმუშევრობა, თუმცა დამატებითი შრეები გამოიყოფა. მაგალითად, ჩნდება ე.წ. ქვე-კლასი (underclass), რომელიც მუდმივად დასაქმების პერსპექტივის არმქონეა (როგორც წესი, მარტოხელა მშობლები), უფრო და უფრო მცირდება საშუალო კლასი და იზრდება „მშრომელ ღარიბთა“ რაოდენობა, რომელთა სამუშაო უნარები არ აძლევს მათ საშუალებას უფრო ზედა სოცო-ეკონომიკურ საფეხურზე გადაინაცვლონ. არსებობს ერთგვარი აკადემიური კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ კლასობრივი სტრუქტურის თავისებურებები ეკონომიკური უფლებრიობის მიღწევის გზით ხელს არ უწყობს აქტიურ (ქმედით) მოქალაქედ ჩამოყალიბებას. ამასთან, ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსახლეობის დაბერების მაჩვენებლებსაც, რადგან მოხუცები შესაძლოა პასიური და სხვაზე დამოკიდებული ჯგუფი არ იყოს, მაგრამ პენსიების ფაქტორის გამო მათი რაოდენობის ზრდას დიდი გავლენა აქვთ რესურსების გადანაწილების პროცესში. სავარაუდოდ, თაობათა შორის დაპირისპირება მნიშვნელოვანი წყალგამყოფი შეიძლება აღმოჩნდეს შეზღუდული რესურსების პირობებში.

მე-20 საუკუნეში, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა (ცივი ომი), ძირითადად კი საომარმა მოქმედებებმა (მაგალითად, მეორე მსოფლიო ომი, კოსოვოს კრიზისი, ავღანეთი, ვიეტნამის ომი და ა.შ.), ე.წ. „ჭკვიანი ბომბებისა“ და ატომური იარაღის შექმნამ მსოფლიოს ახალი დღის წესრიგი შექმნა. ამან ფაქტობრივად გააქრო ე.წ. „ტიტმუსის ეფექტი“, ომის შედეგად უფლებების ლეგიტიმაციის, სამხედრო სამსახურში ყოფნის მოქალაქეობრივ აქტივიზმად განხილვისა და ამ სახით უფლებათა (entitlement) მიღებისა და რეალიზების იდეები.

რეპროდუქციული მოქალაქეობა

მესამე მნიშვნელოვანი ცვლილება მოქალაქეობის საფუძველში არის სოციალურ უფლებებთან მიმართებით რეპროდუქციის ტრანსფორმაცია. როგორც უკვე აღინიშნა, აქტიური მოქალაქეობისა და უფლებრიობის მიღების ერთ-ერთ ეფექტურ გზად სწორედ რეპროდუქცია სახელდება, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სახელმწიფოები აქტიურად ცდილობენ თავად რეპროდუქციის ოჯახის ინსტიტუტთან დაკავშირებას და ოჯახის არსებობას რეპროდუქციის წინაპირობად განიხილავენ. უფრო მეტად, ვიდრე ზოგადად ჰეტეროსექსუალობა, ოჯახი იქცა უფლებების (entitlement) მიღწევის საფუძვლად და ნორმალური მოქალაქეობის მახასიათებელი ნიშნად. ეს სახელმწიფოების პოლიტიკის შედეგია და მთლიანად აქცენტს სვამს იმაზე, რომ თავისთავად ქორწინების ლოგიკურ ჯაჭვსა და დაბოლოებას რეპროდუქცია უნდა წარმოადგენდეს. ამის ნორმალიზება და მორალიზება რეპროდუქციას განიხილავს, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვლილის შეტანას. ის სოციალური მონაწილეობისა და აქტივიზმის ერთ-ერთი სახეა. ჰეტეროსექსუალური სქესობრივი კავშირით რეპროდუქცია, ფაქტობრივად, ერთადერთი საშუალება იყო მშობლის, როგორც გარკვეული ჯგუფის სოციალური, კულტურული და ბიოლოგიური მიზნების მისაღწევად. 1970-იანი წლებიდან, როდესაც სულ უფრო ფართოდ გახდა შესაძლებელი ე.წ. ხელოვნური განაყოფიერების შედეგად შობადობის მიღწევა, უფრო მკაფიოდ გამოჩნდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს რეპროდუქციას მოქალაქეობრიობის ჩამოყალიბებაში, რადგან შესაძლებელი გახდა ჰეტეროსექსუალური სქესობრივი კავშირის გარეშეც მოქალაქეთა გაჩენა. ცხადია, აღნიშნული დისკუსიის გარეშე არ დარჩენილა და სავარაუდოა, რომ ტექნოლოგიური მიღწევების ამგვარი განვითარება ოჯახის, როგორც ინსტიტუტის ცვლილებას მის მოდიფიცირებას გამოიწვევს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ რა როლი აქვს სახელმწიფოს და რა ფორმით მოქმედებს ის რეპროდუქციის დემოგრაფიულ პოტენციალზე. „სექსუალური მოქალაქეობის“ კონცეფცია, რომელსაც დიდ ბრიტანეთში გარკვეულ სოციოლოგთა ჯგუფი ადვოკატირებდა არაადეკვატურად აკავშირებდა ადამიანის სექსუალურობას, რეპროდუქციულობას და მოქალაქეობას. ცალსახაა, რომ სახელმწიფოს ინტერესი თავისთავად სექსუალურობის, ადამიანის სექსუალური ცხოვრებისა და მისი სექსუალური იდენტობის მიმართ მეორე ხარისხოვანია და წინა პლანზე იწევს ის დემოგრაფიული პოტენციალი, რაც რეპროდუქციას ახასიათებს მოქალაქეობასთან კავშირში.

მოქალაქეობის ინსტიტუტების შექმნა სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო ეროვნული ჩარჩოს, სახელმწიფოებრიობის, მიკუთვნებულობის მშენებლობაში - პროცესი, რომელიც მე-18, მე-19 საუკუნეების განმავლობაში დომინირებდა სამინაო პოლიტიკაში ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში (Nelson 1998). ეროვნული მოქალაქეობის ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა, მოითხოვდა ეროვნული იდენტობების შექმნას. მოქალაქეობრივი იდენტობა ევროპაში ადგილობრივი და ურბანული მახასიათებლების მქონე იყო, რომელიც ნაციონალიზმის აღზევებასთან ერთად სულ უფრო მეტად ხდებოდა ეროვნული კულტურის ნაწილი, რომელიც თავის მხრივ, შიდა თანხმობისა და ერთსულოვნებისკენ მიიღებოდა, რასაც გარე კულტურული ანტი-სახე-ხატებით, „უცხო“, გარეშე პირების ძაგებით, უარყოფითი აღქმით ახდენდა. საზოგადოების ნაციონალური მითოლოგია ხშირად დაკავშირებულია ინდივიდუალური თაობების კოლექტიურ ბიოგრაფიასთან და ამგვარ ბიოგრაფიებს აქცევს ერი-სახელმწიფოს ისტორიად. როგორც წესი, სწორედ ამ ფაქტორის გამო აკავშირებს მოქალაქეობის თეორია ომში მონაწილეობას (განსაკუთრებით ეროვნული, ერის თავდაცვა) მოქალაქეობრივი უფლებების (entitlement) ზრდასთან.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერის შენების პროცესიდან ქალი გარიყულია. ეროვნულობის შენების გზაზე ქალს განსაკუთრებული როლი უჭირავს სწორედ რეპროდუქციის, ოჯახის შენების თვალსაზრისით. რეპროდუქციის გზით ამ „ოჯახურ წესრიგს“ წვლილი შეაქვს პოლიტიკური საზოგადოების შექმნის პროცესში (Yuval-Davis 1998), თუმცა ქალების ხმები ნაციონალიზმის გრანდიოზულ ნარატივებში, როგორც წესი, მეომრის ეთოსის მეშვეობით ღუმდება და მარგინალიზდება.

ეპიკური პოეზია, ტრაგიკული რომანები და ნაციონალური მითოლოგიები აერთიანებს კოლექტიურ ემოციებსა და განწყობებს ერის მშენებლობის ისტორიაში. თანამედროვე მამაკაცური იდენტობები ჩამოყალიბდა ნაციონალიზმის (ეროვნულობის) წიაღში. ხოლო

ეროვნული იდენტობა სწორედ მოქალაქეობის ინსტიტუტების გარშემო შეიქმნა, რაც თავის თავში მოიაზრებდა ნაციონალიზმის საფუძვლებით „უცხოთა“ გარიყვის მექანიზმს და „სხვებს“ უფლებებზე (entitlement) წვდომას უზღუდავად. ეს მაკრო-სოციალური პროცესები ტრადიციულად ზურგს უმაგრებდა ნაციონალურ მოქალაქეობას, რომლის მთავარ ინსტიტუტსაც ოჯახში რეპროდუქცია და ამ გზით ინდივიდუალური უფლებების მიღება წარმოადგენდა.

ნაციონალური სახელმწიფო თავის თავში მოიაზრებდა პატრიარქატისა და პატრიოტიზმის, მონარქიისა და სახელმწიფოს მშენებლობის ორმაგი მოდელის მემკვიდრეობის, დანატოვარის, შენარჩუნებას. ერის, მოქალაქეობისა და მამაკაცურობის თანამედროვე მატრიცა ეჭვქვეშ დადგა ეროვნული სუვერენიტეტის მიმართ გლობალური გამოწვევებით, თანამედროვე საზოგადოებებში სამუშაოსა და ომის გარდაქმნებით და რეპროდუქციული ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული სექსუალობისა და მშობლის, როგორც ინსტიტუტის ტრანსფორმაციით. მიუხედავად ამ ფუნდამენტური სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნებისა, ეროვნული მოქალაქეობის საფუძვლები და ინდივიდუალური უფლების საფუძველი სამართლებრივად და სოციალურად მაინც რჩება რეპროდუქციასთან, შესაბამისად, ოჯახთან და ჰეტეროსექსუალობასთან, კავშირში. გამრავლების ოჯახური იდეოლოგია თანამედროვე უფლებების (entitlement) ფუნდამენტური საყრდენი იყო, მათ შორის მოქალაქეობის სოციალური უფლებების ნაწილში.

ნებაყოფლობითი გაერთიანებები - უფლების მიღების მეოთხე გზა?

მოქალაქეობის ეროზია შრომის, ომისა და რეპროდუქციის ტრანსფორმაციის შედეგად ასევე ძირს უთხრის მონაწილეობითი ან ჩართული დემოკრატიის შესაძლებლობას. თანამედროვე საზოგადოება აღარ შედგება ასოციაციების, კლუბების, საძმოების, სამლოცველოებისა და კომუნალური გაერთიანებების მკვრივი ქსელით. მოქალაქეობის ეროზიის მთავარი მაჩვენებელი სოციალური კაპიტალის კლებაა (Putnam 1993 და 1995). მე-20 საუკუნის ბოლოს გარკვეული გავლენების შედეგად სულ უფრო მეტად შემცირდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მონაწილეობისა და წვლილის შეტანის პრაქტიკა. ევროპასა და ამერიკაში 1970-იანი წლებიდან მზარდად შემცირდა სხვადასხვა რელიგიური კონფესიებისადმი მიკუთვნებულობა, აგრეთვე ნათლობა და ქორწინების რელიგიური რიტუალიზება. შემცირდა პოლიტიკური პარტიებისადმი მიკუთვნებულობა და სხვადასხვა ყოფით აქტივობაში ჩართვა. ზემოთხსენებულმა ცვლილებებმა გააჩინა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შესაძლებელი იყო მსგავსი მოცემულობებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შენარჩუნება, დაცვა, წახალისება და რა როლი ენიჭებოდათ ამ სურათში მესამე სექტორის წარმომადგენლებს - იმ ნებაყოფლობით-მოხალისეობრივ (voluntary associations) გაერთიანებებს, რომლებიც უფრო მეტად იყვნენ სოციალური საჭიროებების იდენტიფიცირებითა და საზოგადოებრივი აქტივიზმით დაკავებულნი. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივეს ფონზე შემცირდა ინდივიდუალური შემოწირულობების რაოდენობა ფონდებსა და სხვადასხვა მომსახურების ორგანიზაციებში, აგრეთვე მთლიანობაში შემცირებული იყო ნებაყოფლობით-მოხალისეობრივი გაერთიანებების როლი და სოციალური აქტივობა. მიუხედავად ნეგატიური მოლოდინებისა, ცალსახაა, რომ მესამე სექტორისა და ფონდების სამუშაო ძალასა და შესაძლებლობებს ბოლომდე სწორად ვერ განჭვრეტდნენ. ორგანიზაციებში აქტივობისა და ჩართულობის კლება არ იყო სტაბილური - თუკი ერთი ორგანიზაციის მნიშვნელობა და მასში გაერთიანებული ადამიანების რაოდენობა იკლებდა, სხვა ორგანიზაციების - პირიქით, იმატებდა. ინდივიდუალური ჩართულობა ნებაყოფლობით გაერთიანებებში, კლუბებსა და სხვადასხვა ჯგუფებში უფრო ძლიერია, ვიდრე პატნამის თეზისი სოციალური კაპიტალის შემცირების შესახებ ვარაუდობს. თუმცა, თუკი ჩვენ უბრალოდ დავითვლით ნებაყოფლობითი გაერთიანებების რაოდენობას და დავიტანთ გრაფიკზე მათი ზრდის მაჩვენებელს, გასაგები გახდება, რომ ნებაყოფლობითი გაერთიანებების როლი, განსაკუთრებით სოციალური უზრუნველყოფის სფეროში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, რაც გარკვეულწილად განპირობებული იყო სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით სახელმწიფოს აქტივობის კლებით.

ბევრი მკვლევარი ფიქრობდა, რომ თავისუფალი ბაზრის სამსახურში ჩაყენებული სოციალური პოლიტიკა და სახელმწიფოს როლის შემცირება ავტომატურად გამოიწვევდა

სოციალური მოქალაქეობის შემცირებასაც. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ომის შემდგომი პოლიტიკა საკმაოდ ბიუროკრატიული, გამრიყავი და პატერნალისტურიც იყო. სახელმწიფო, როგორც ბიუროკრატიული აპარატი და „ბიუროკრატიული კოლექტივიზმის“ იდეის მატარებელი ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან იქნა გაკრიტიკებული. ის გააკრიტიკეს მემარჯვენეებმა, რომელთაც სახელმწიფოს როლის შემცირება სურდათ, მაგრამ ასევე მემარცხენეებმა და ლიბერალებმაც, რომლებიც განსაკუთრებით კრიტიკულად იყვნენ განწყობილები ძლიერი სამხედრო ქმედებებისა და სტრატეგიების მიმართ. გასაკვირია, მაგრამ ბრიტანეთში ტეტჩერის მოსვლამდე მემარჯვენეებიც და მემარცხენეებიც თანხმდებოდნენ, რომ „მზრუნველი სახელმწიფო“ კრიზისში იყო. თუმცა ტეტჩერისა და სხვა ბევრი ქვეყნის მთავარი სტრატეგია ამასთან გასამკლავებლად იყო სახელმწიფოს როლის სულ უფრო და უფრო შემცირება, შესუსტებას, გადასახადების შემცირება, ინდუსტრიების მასიური პრივატიზება. ეს სტრატეგია ასევე მოუწოდებდა მესამე სექტორს, სახელმწიფოს მაგივრად მათ მიეწოდებინათ ადამიანებისთვის ბევრი ადგილობრივი და თემის საჭიროებებზე მორგებული სერვისი. პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მაგივრად თავისუფალ ბაზარზე მორგებულმა პოლიტიკამ ბევრი უარყოფითი შედეგი მოიტანა. კითხვებს იწვევდა ისიც, თუ რამდენად შეუძლიათ ნებაყოფლობით გაერთიანებებს/ასოციაციებს ეფექტური სოციალური, კეთილდღეობის სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა და ხომ არ არის ეს იმაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, რომ თავად ასეთ ორგანიზაციებმა შეძლონ მთლიანობაში საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა დემოკრატიის განვითარებისათვის.

მესამე სექტორს და უფრო კონკრეტულად ნებაყოფლობით გაერთიანებებს (voluntary associations) შეუძლიათ უზრუნველყონ სოციალური მონაწილეობის, ადგილობრივ დონეზე დემოკრატიული ჩართულობის და შესაბამისად აქტიური მოქალაქეობის შესაძლებლობები. მათი როლი კრიტიკულად მნიშვნელოვანია საჯარო სივრცის შენარჩუნებისათვის, ასევე სოციალური პროგრამების უზრუნველყოფისათვის ადგილობრივი მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ამ პოზიტიურ შეხედულებას მესამე სექტორსა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების როლზე, ხშირად, ერთნაირად იზიარებენ როგორც პოლიტიკოსები, ასევე აკადემიური წრე (Hirst 1994). ნებაყოფლობითი გაერთიანებები შეიძლება გახდეს საზოგადოების მთავარი მარგანიზებული ძალა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ კეთილდღეობას და დემოკრატიული მმართველობისთვის საჭირო ძირითად ინსტრუმენტებს. მართლაც, თუკი ვამბობთ, რომ სამთავრობო ბიუროკრატია, მმართველობა შეიძლება იყოს პრობლემის წყარო, მაშინ ჰერსტის წინადადება მით უფრო მიმზიდველია, რადგან იგი მიზნად ისახავს შეამციროს სახელმწიფოს მიერ მომწესრიგებელი, მაკონტროლირებადი სფეროებისა და საქმეების მამტაბი. ე.წ. სუბსიდირება მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფო ფუნქციების, უფლებამოსილებების, ნაწილი გადაეცემა ნებაყოფლობითი გაერთიანებების ქსელს. ასეთი სისტემა ხელს შეუწყობს პროცესს, სადაც მოქალაქეთა არჩევანი შერწყმულია საზოგადოებრივ კეთილდღეობასთან. ვინაიდან ნებაყოფლობითი ასოციაციები მაღალი კომუნიკაციური დემოკრატიის უნარით ხასიათდებიან, ეს დეცენტრალიზებული პოლიტიკური სტრუქტურა გზას გაუხსნის ფართო კონსენსუსს, ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას.

ნებაყოფლობითი გაერთიანებები ხასიათდება სახელმწიფოსგან ავტონომიურობით. ორგანიზაციული შიდა სტრუქტურული მოწყობა ხელს უწყობს ადგილობრივი მოქალაქეების ჩართულობასა და მათ მხარდაჭერას. ასეთი ორგანიზაციები სახელმწიფოსთან შედარებით უკეთ ახდენენ ადგილობრივი საზოგადოების ფოკუსირებასა და საზოგადოებრივ საჭიროებებზე ორიენტირებას. დემოკრატიის გაძლიერების გზაზე ნებაყოფლობითი გაერთიანებები ოთხი სახის სტრატეგიულ ფუნქციას ასრულებენ: ისინი ინფორმაციას აწვდიან პირებს, რომლებიც პოლიტიკას განსაზღვრავენ; ისინი იმ პოლიტიკურ უთანასწორობას აღმოფხვრიან, რომელიც მატერიალურ საფუძველზე დაარსებულ პოლიტიკას გააჩნია; მათ შეუძლიათ იმოქმედონ, როგორც დემოკრატიის სასწავლებლებმა; ისინი უზრუნველყოფენ ბაზრისა და საჯარო იერარქიის ალტერნატიულ მმართველობას, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოებას გააცნობიეროს მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი უპირატესობები (Cohen and Rogers 1995). არაკომერციული ორგანიზაციების არსებობა მნიშვნელოვანი პირობაა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისათვის. ისინი უფრო ეფექტურები არიან, ვიდრე

სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისები, ამასთან ძალუძთ იყვნენ უფრო მგრძნობიარე და ემპათიური ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებსა და საჭიროებებთან მიმართებით. მათ აქვთ გადამწყვეტი როლი სოციალური კაპიტალის დაგროვებაში, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია ეფექტური, დემოკრატიული, პოლიტიკური და ძლიერი ეკონომიკისა. არაკომერციული ორგანიზაციები ხელს უწყობენ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობას უწევს სახელმწიფოსა და ბაზრის ბატონობას და ძალებს.

თუმცა ამგვარი მტკიცებების გარდა მხედველობაში უნდა მივიდეთ, რომ მესამე სექტორი ძალიან მრავალფეროვანია, ზოგ შემთხვევაში, თუ ისინი ზედმეტად ფართო მასშტაბებს იძენენ, შეიძლება მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების თვისებებსაც იზიარებდეს. ასოციაციური დემოკრატიისა და სოციალური ინკლუზიის ინტერესებს ალბათ უკეთესად ემსახურებიან მცირე სათემო ჯგუფები, რომლებიც მარგინალური სივრცეებისა და ჯგუფებისთვის არსებობენ, ვიდრე მსხვილი ასოციაციები, რომლებიც ჰვანან კორპორაციებს (Brown, Kenny და Turner 2000).

ნებაყოფლობითი გაერთიანებების სოციოლოგიური ანალიზი მიზნად ისახავს მათი ავტონომიისა და დამოუკიდებლობის შესწავლას როგორც სახელმწიფოსთან, ასევე ბაზართან მიმართებაში. ასევე არსებობს ბუნდოვანება ნებაყოფლობითი გაერთიანებების მიმართებაზე ეკონომიკასთან. ტრადიციულად, ნებაყოფლობითი გაერთიანებებს არ უნდა ემოქმედათ ბიზნეს ორგანიზაციების მსგავსად. იმის მიუხედავად, რომ ნებაყოფლობითი ასოციაციები ჯერ კიდევ არიან არაკომერციული ორგანიზაციები, ისინი სულ უფრო მეტად ექცევიან მარკეტიზაციისა და კომოდიფიკაციის (commodification) ზეწოლის ქვეშ. რის გამოც ხშირად არიან ერთმანეთთან კონკურენციაში, რომ მოიპოვონ დაფინანსება და გრანტები. ნებაყოფლობითი გაერთიანებები მხოლოდ გრანტების მოპოვებაში კი არ უნდა იყვნენ კონკურენტუნარიანი, არამედ მთელი რიგი მაღალკვალიფიციური პროფესიონალებისგან დაკომპლექტებულ შემადგენლობაზე იყვნენ ფოკუსირებული, რომელიც თავის თავზე აიღებს, როგორც ორგანიზაციის შიდასტრუქტურულ ძლიერ მოწყობას, ასევე მთელი რიგი პროექტების მართვას. ხშირად ასეთი ტიპის ორგანიზაციების მამოძრავებელი ლოგიკა რესურსების მაქსიმიზაცია შეიძლება გახდეს (Galaskiewicz and Bielefeld 1998: 35) და „მენეჯერული რაციონალობის“ დანერგვას შეუწყოს ხელი, რადგან დაფინანსება უნდა მოიპოვოს იმ სისტემიდან, რომელიც თავად რაციონალურ და პროფესიულ საფუძვლებზე დგას. აღნიშნულის ირონიულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მესამე სექტორს განიხილავენ, როგორც ძლიერი დემოკრატიზაციის მექანიზმს ქვედა დონეზე. თუკი ნებაყოფლობითი ორგანიზაციები და ასოციაციები გადაიზრდება მსხვილ ბიუროკრატიზმში, ვეღარ იქნებიან ემპათიური და მგრძნობიარე ადგილობრივი მოქალაქეების საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, შესაბამისად ისინი ვეღარ განახორციელებენ მათზე დაკისრებულ, ზემოთხსენებულ, ოთხი სახის სტრატეგიულ ფუნქციას.

ტრადიციული კრიტიკის მიხედვით, ნებაყოფლობითი გაერთიანებებს არ შეუძლია უნივერსალური სერვისების უზრუნველყოფა. არ აქვს სამუშაოს აღსრულების მკაფიო კრიტერიუმები და შეიძლება ისინი ეკონომიკურად ეფექტური არ იყოს. კიდევ უფრო პრობლემური ისაა, რომ ასეთი ორგანიზაციები ხშირად არსებობენ სოციალური კლუბების სახით და არა სერვისების სააგენტოების სახით. ასევე არსებობს რისკი, რომ ამგვარ ორგანიზაციებს სხვა მსგავს ორგანიზაციებთან ისეთივე იერარქიული მიმართებები ექნებათ, როგორც სოციალური იერარქიაში გვხვდება. აღსანიშნია, რომ ზოგიერთი ქველმოქმედებითი და მოხალისეობრივი ორგანიზაცია მხოლოდ საშუალო ფენის გამოხატულ საჭიროებებს პასუხობს და საშუალო კლასებისთვის აუნაზღაურებელი შრომის ადგილს წარმოადგენს (Pearce 1993).

ის ნებაყოფლობითი ასოციაციები, რომლებიც დაფუძნებულია და მართულია მკვიდრი მოსახლეობის მიერ და სერვისს თავად მკვიდრ მოსახლეობას სთავაზობს (მაგალითად, კანადაში და ავსტრალიაში), ან ზოგადად ის გაერთიანებები, რომლებიც არსებობენ მარგინალიზებული სოციალური ჯგუფებისთვის სპეციფიური სერვისის უზრუნველსაყოფად, უფრო მარტივად ახერხებენ თავიდან აიცილოთ ბიუროკრატიზაცია და კოოპტაცია.

დასკვნა: მოქალაქეობის ახალი სახეები

მარშალის ჩარჩო დაირღვა, რადგან ეკონომიკურმა ცვლილებებმა, ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა და გლობალიზაციამ შეცვალა სამუშაოსა და ომის ბუნება და სოციალური დამოკიდებულება რეპროდუქციისადმი. ეფექტური, ქმედითი მოქალაქეობის მიღწევის სამი გზა აღარ წარმოადგენს მკაცრ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფდა სოციალურ უფლებებს. მიუხედავად იმისა, რომ ნებაყოფლობითი გაერთიანებები და ასოციაციები ცდილობენ კერძო საშუალებებით მოახდინონ სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა და შენარჩუნება, სამართლიანად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს იდეალიზმი იმსხვრევა იმის გაცნობიერებით, რომ ეს ორგანიზაციებიც მოქმედებენ კონკურენტუნარიან, კომერციალიზებულ გარემოში. აღნიშნული ვერ თავსდება ასოციაციური დემოკრატიის ფრთებქვეშ. იმის ხაზგასმით, რომ მარშალიანური ჩარჩო მოირღვა, მე არ ვცდილობ იმის თქმას, რომ ეს უფლებები მნიშვნელოვანი აღარაა, პირიქით ამ უფლებებზე მსჯელობა სხვა დონეზეა გადასული, რაც მასზე დისკურსსაც, გარკვეულწილად, კალაპოტს უცვლის. თანამედროვე საზოგადოებებში მარშალიანური მოქალაქეობა უფრო მეტად „გათხევადებულია“ (thin), ვიდრე „მკვრივი“ (thick). ამის მიზეზი, ნაწილობრივ, ისიცაა, რომ სოციალური კაპიტალი, რომელიც საზოგადოებრივი მონაწილეობის, ურთიერთქმედების ქვაკუთხედი უნდა ყოფილიყო, განეიტრაღა ტელევიზიისა და სოციალური ქსელების პასიური ბუნებით. აღნიშნული ტექნოლოგიური მიმართულებების განვითარებამ და გავრცელებამ გარკვეულწილად სამოქალაქო საზოგადოების, მისი ქმედითობისა და აქტიური მონაწილეობის პირობებზე იქონია მნიშვნელოვანი გავლენა.

ალტერნატიული ხედვა გამოიხატება იმაში, რომ მართალია მარშალიანური სამყარო გაქრა, მაგრამ სამაგიეროდ გაჩნდა უფლებათა ახალი რეჟიმი, რომელიც შეცვლილ სოციალურ სურათს ასახავს. ეს ნიშნავს იმას, რომ ნაციონალური სახელმწიფოების სოციალური უფლებები სულ უფრო მეტად ჩანაცვლდება, ანდაც შეივსება ადამიანთა ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეობის ეროვნია ახალი ტიპის მოქალაქეობრიობის წარმოქმნა, მისი ახლებური ფორმირებაა, რომელიც კონკრეტულად ეროვნული (ნაციონალური) სახელმწიფოების შიგნით კი არ არსებობს, არამედ, როგორც წესი, დაკავშირებულია ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან და არა სამოქალაქო უფლებებთან. ის გაერთიანებები, რომლებიც ამ უფლებებს მხარს უჭერენ, წარმოადგენენ საერთაშორისო, გლობალურ ორგანიზაციებს, რომლებიც უფრო ვირტუალური და „გათხევადებულია“ (thin), ვიდრე ლოკალური და „მკვრივი“ (thick). მოქალაქეობის ეროვნის იწვევს სოციალური პრობლემები, რომლებიც გლობალური ცვლილებებითა და წნეხითაა განპირობებული და ამ ხაზით წარმოადგენს პოსტნაციონალურ და მთლიანობაში კონცეპტუალურად დაკავშირებულ ჯაჭვს. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს საკითხები განპირობებულია თანამედროვე საზოგადოებების საერთო პრობლემით, უფრო კონკრეტულად კი, ადამიანის სხეულსა და გარესამყაროს შორის მიმართებებით (Turner, 1993). მარშალიანური მოქალაქეობისთვის მნიშვნელოვანი ძველი მექანიზმები - კლასობრივი კონფლიქტი და ომისთვის მობილიზაცია - შეიცვალა ახალი მიზეზობრივი პროცესებით, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ მოძრაობებთან, სტატუსზე დაფუძნებულ წინააღმდეგობებთან და იდენტობასთან.

ადამიანის უფლებათა ეს ნაკრები განვითარდა ორი მიზეზით: მსოფლიო გლობალური წესრიგთან დაკავშირებული პრობლემები, მაგალითად, დაავადებების მასიური გავრცელება, გარემო-პირობების დაბინძურება და ა.შ. ვერ გადაიჭრება მხოლოდ ერთი ქვეყნის ჩართულობითა და მონდომებით. ამასთან, თანამედროვე საზოგადოებებში სოციალური რისკი უკავშირდება ახალი ტექნოლოგიების განვითარებას, (კლონირება, გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები და ა.შ.), რომლებიც ბოლომდე ვერ ერგებიან თანამედროვე საკანონმდებლო და პოლიტიკურ ჩარჩოს. მიუხედავად იმისა, რომ მარშალის პარადიგმა დღეს უკვე სოციოლოგიური თვალსაზრისით მოძველებულია, მე დასკვნის სახით გამოვყოფ პოსტნაციონალური მოქალაქეობის სამ ტიპს, რომლებიც პარალელურია თავდაპირველ თეორიაში მოცემული მოქალაქეობის სამი კომპონენტის.

ბუნებრივ გარემოზე მწარმოებლური კაპიტალიზმის უარყოფითი შედეგებით გამოწვეული გლობალური ვნებათაღელვა თანამედროვე პოლიტიკის დომინანტ საკითხად იქცა. ცალკეული სახელმწიფოები თვითნებურად, თავისი ძალებით ცდილობდნენ საკუთარი მოსახლეობის ინდუსტრიალიზაციის მავნე ზეგავლენისგან დაცვას. მაგალითად, ნავთობის ზღვებსა და ოკეანეებში ჩაღვრისგან, ბირთვული იარაღის გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანის, სასოფლო-სამეურნეო სფეროს ინდუსტრიალიზებისგან, ნახშირბადის გამონახოლქვისგან და ა.შ. დაცვას. ამან დროთა განმავლობაში არა მარტო სოციალური კონტექსტი მოიცვა და უკეთეს პირობებსა და ჯანსაღ ეკოლოგიურ გარემოზე ადამიანის უფლების არგუმენტი გააჩინა, არამედ ცალკეული პოლიტიკური პარტიებისა და ლობირებული კამპანიების სახე მიიღო, რამაც საკითხს პოლიტიკური ელფერი მიანიჭა. შედეგად ჩამოყალიბდა ერთგვარი „ეკოლოგიური მოქალაქეობა“, რომელიც გლობალურ მიზნებზე დგას. ერთი მხრივ, მისი მიზანია დაიცვას ცალკეული ინდივიდის უფლებები სოციალურად ადაპტირებად, ეკოლოგიურად სუფთა გარემოზე, ხოლო მეორე მხრივ, მან ტექნოლოგიების ტრანსფორმაცია განაპირობა და კაპიტალიზმისთვის წამოაყენა ადამიანის უფლებების დაცვისა და მომავალი თაობების დაცვის მოთხოვნები. თუ სოციალური უფლებები უფრო მეტად კლასთან დაკავშირებული აქტივობების შედეგი იყო, თანამედროვე ადამიანთა უფლებები სხვადასხვა სოციალური კავშირის მექანე სოციალური და გარემოსდამცველი მოძრაობების შედეგია. ეს ყოველივე სულ უფრო მეტად იღებს საკანონმდებლო და პოლიტიკურ ჩარჩო-რეგულაციის სახეს.

აღნიშნული დისკურსიის პარალელურად ანთროპოლოგიური ვნებათაღელვა გამოიწვია იმან, თუ რა გავლენას ახდენდა კაპიტალიზმი და კოლონიური მმართველობა არა მხოლოდ გარემოზე, არამედ ადამიანთა საზოგადოებებზე. წარმოდგენა იმაზე, რომ დაუოკებელი მწარმოებლური კაპიტალიზმი ნეგატიურ გავლენას ახდენს გარემოზე, ნელნელა გადაიზარდა იმ კონსტრუქციულ მსჯელობაში, რომ კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობას დამანგრეველი შედეგები მოჰყვა ტომობრივ საზოგადოებაში. მე-19 საუკუნეში კაპიტალისტური სახის სოფლის მეურნეობის გავრცელების კვალდაკვალ აბორიგენების კულტურის ნგრევამ და „თეთრკანიანთა კოლონისტურმა მიგრაციამ“ მსგავსი კულტურული თვისებები შექმნა მსოფლიოს ბევრ განსხვავებულ წერტილში, ჩრდილოეთ ამერიკიდან დაწყებული ახალი ზელანდიით დამთავრებული. ვერც ასიმილაციის და ვერც მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ სხვადასხვა აბორიგენებული თემის სოციალური ღებრივაცია ვერ გადაჭრა, რადგან ეს უკანასკნელები ეფექტური მმართველობისა და მენეჯმენტირების დანაკლისს განიცდიდნენ, რადგან აბორიგენულ, მკვიდრ საზოგადოებას შორის ენობრივი და შიდა კულტურული განსხვავებულობა ხელს უშლიდა საერთო ხედვებით დაპირისპირებოდნენ და ეპასუხათ თეთრკანიანი საზოგადოების პოლიტიკისთვის. ამან საბოლოოდ მათი ეფექტური უფლებების მიღებას შეუშალა ხელი და მათი მოთხოვნილებების რეალიზების შესაძლებლობასაც არ მისცა გასაქანი.

მიწის ექსპლუატაციასა და აბორიგენული, მკვიდრი მოსახლეობის კულტურის განადგურებას შორის კავშირის დანახვამ კულტურული უფლებების შესახებ უფრო გლობალურ, სიდრმისეულ და მნიშვნელოვან დებატებამდე მიგვიყვანა. თუ მარშალიანური პარადიგმა ეთნიკურ იდენტობაზე დიდ ინფორმაციას არ გვაძლევდა, მკვიდრი მოსახლეობის გლობალურმა პრობლემამ დაგვაფიქრა იდენტობისა და განსხვავებების შინაარსზე. სწორედ ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოქალაქეობის მესამე ტიპი დაკავშირებულია კულტურასთან. კულტურული უფლებები (ენა, რელიგიური იდენტობა, საზოგადოების კულტურულ მემკვიდრეობაში თანამონაწილეობა) გახდა ცენტრალური და მთავარი იდენტობის პოლიტიკა, თუმცა ამ უფლებებს არც პირდაპირი და არც აუცილებელი კავშირი ნაციონალურობასა და ეროვნულობასთან არ აქვს. ახლადადმოცენებული უფლებები უსაფრთხო გარემოზე, აბორიგენულ კულტურაზე, მიწაზე და ეთნიკურ იდენტობაზე, მიუთითებს და ემყარება ზოგად უფლებას, კერძოდ, უფლებას ონტოლოგიურ უსაფრთხოებაზე. ადამიანებს არასტაბილური და ნაკლებად განჭვრეტადი სოციალური ცხოვრება აქვთ, ამას ემატება პოლიტიკური კონსენსუსის არამდგრადობა და მუდმივი ცვლილებები. ეს საერთო ონტოლოგიური უსაფრთხოება მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის არსებობასთან, მის დაბადებასთან და ხორცშესხმასთან, განსხეულებასთან. ესაა უფლება დაიბადო და იარსებო ადამიანად. ის უფრო ღრმად მიდის, ვიდრე მხოლოდ რეპროდუქციული უფლებები და ადგილს ტოვებს ღირსების, პატივისცემის უფლებისთვის. ჩვენი ონტოლოგიური უსაფრთხოების უფლება შეიძლება დავიცვათ ახალი

ფასეულობების შექმნით, რომლებიც მოიცავს გარესამყაროს გაფრთხილებას, მის დაცვას, ასევე ადამიანური ბუნებისა და საზოგადოებების არამდგრადობისგან დაცვას, კულტურული განსხვავებულობის პატივისცემას, ადამიანის ღირსების გაფრთხილებას. ესე იგი ჩვენ გვჭირდება ისეთი სახის ვალდებულებები, რომლებიც შეესაბამება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესაბამისი მოთხოვნილებებს.

მოქალაქეობის ეს სამი პოსტნაციონალური უფლება (ეკოლოგიური, აბორიგენული-მკვიდრი მოსახლეობისა და კულტურული) შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მარშალის სამი სტადიის ანალოგიური უფლებები. ეს ახალი უფლებები კი დაკავშირებულია გლობალურ სისტემაში ადამიანად ყოფნის რისკებთან. პოსტნაციონალური გლობალური უფლებები გარემოზე დაკავშირებულია იმასთანაც, რომ ეროვნულ სახელმწიფოს არ შეუძლია ადეკვატური რეაგირება ჰქონდეს ადამიანის მოწყვლადობაზე ისეთ ეკოლოგიურ სისტემაში, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამო ზიანდება. ნაკლებადაა გასაგები, თუ რა შეიძლება იყოს ამ ტიპის გლობალური უფლებების შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურები. მარშალიანური მოქალაქეობის უფლებების ჩამოყალიბებას კვალდაკვალ მიჰყვებოდა შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურების აღზევა – სასამართლო, საპარლამენტო ინსტიტუტები და კეთილდღეობის სახელმწიფო. გარემოსდაცვითი უფლებები, აბორიგენული ანუ მკვიდრი მოსახლეობისა და კულტურული უფლებები გათვალისწინებულია ადამიანთა უფლებების დეკლარაციის ზოგიერთ კომპონენტში, ასევე გაეროს სამართლებრივ რეკომენდაციებში, მაგრამ ჯერჯერობით არ არსებობს გადამწყვეტი სამთავრობო შეთანხმებები გლობალურ დონეზე, რომლებიც ამ უფლებებს შეესაბამება ან მათ აღასრულებს. ბევრი სოციალური მეცნიერი ფიქრობს, რომ უნდა არსებობდეს გლობალური მმართველობა, მაგრამ ამისათვის საჭირო იქნება იმის გარკვევა, თუ როგორ შეიძლება იარსებოს გლობალურმა პოლიტიკურმა საზოგადოებამ. ამგვარი გლობალური სისტემის მომავალი არც თუ ისე პერსპექტიულია და საჭირო იქნება იმ პირობების შესწავლა, რომელშიც გლობალური მმართველობა შესაძლებელიც ან სასურველიც იქნება.

ბიბლიოგრაფია:

- Abercrombie, N., Hill, S. and Turner, B. S.** 1980 *The Dominant Ideology Thesis*, London: George Allen & Unwin.
- Abercrombie, N. and Warde, A. (eds)** 2000 *Contemporary British Society*, Cambridge: Polity Press.
- Arnold, M.** 1969 *Culture and Anarchy*, Cambridge: Cambridge University Press.
- Beck, U.** 1992 *Risk Society*, London: Sage
- Beiner, R. (ed.)** 1995 *Theorizing Citizenship*, New York: State University of New York Press.
- Beveridge, W. H.** 1944 *Full Employment in a Free Society*, London: Allen & Unwin.
- 1948 *Voluntary Action*, London: Allen and Unwin.
- Brown, K., Kenny, S. and Turner, B. S.** 2000 *Rhetorics of Welfare.Uncertainty, Choice and Voluntary Associations*, Basingstoke: Macmillan.
- Cohen, J. and Rogers, J. (eds)** 1995 *Associations and Democracy*, London: Verso.
- Crowley, J.** 1998 'The national dimension of citizenship in T. H. Marshall', *Citizenship Studies* 2(2): 165–79.
- Dasgupta, P. and Serageldin, I. (eds)** 2000 *Social Capital. A Multifaceted Perspective*, Washington: The World Bank.
- Dennis, N., Henriques, F. M. and Slaughter, C.** 1962 *Coal is Our Life*, London: Eyre and Spottiswoode.
- Durkheim, E.** 1992 *Professional Ethics and Civic Morals*, London: Routledge.
- Finch, J.** 1989 *Family Obligations and Social Change*, Cambridge: Polity Press.
- Galaskiewicz, J. and Bielefeld, W.** 1998 *Nonprofit Organizations in an Age of Uncertainty. A Study of Organizational Change*. New York: Aldine de Gruyter.
- Giner, S. and Sarasa, S.** 1996 'Civic altruism and social policy', *International Sociology* 11(2): 139–59.

- Gold, D. B.** 1971 'Women and volunteerism' in V. Gornick and B. K. Moran (eds) *Woman in Sexist Society: Studies in Power and Powerlessness*, New York: Basic Books.
- Heidegger, M.** 1977 *The Question Concerning Technology and Other Essays*, New York: Harper and Row.
- Hirst, P. Q.** 1994 *Associative Democracy*, Cambridge: Polity.
- Hoggarth, R.** 1958 *The Uses of Literacy*, Harmondsworth: Penguin.
- Holton, R.** 1996 'Has class analysis a future?' in D. Lee and B. S. Turner (eds) *Conflicts about Class. Debating inequalities in late industrialism*, London: Longman.
- Huag, M.** 1999 'The anti-nuclear power movement in Taiwan: claiming the right to a clean environment' in J. A. Bauer and D. A. Bell (eds) *The East Asian Challenge for Human Rights*, Cambridge: Cambridge University Press.
- Isin, E. F. and Wood, P. K.** 1999 *Citizenship and Identity*, London: Sage.
- Jellin, E.** 2000 'Towards a global environmental citizenship', *Citizenship Studies* 4(1): 47–63.
- Kendall, J. and Knapp, M.** 1996 *The Voluntary Sector in the United Kingdom*, Manchester: Manchester University Press.
- Lockwood, D.** 1996 'Civic integration and class formation', *British Journal of Sociology* 47(3): 531–50.
- Mann, M.** 1987 'Ruling class strategies and citizenship', *Sociology* 21(3): 339–54.
- Marshall, T. H.** 1950{ 1964} *Citizenship and Social Class and Other Essays*. Cambridge: University of Cambridge Press. {This work was later published in 1964 as *Class Citizenship and Social Development*, 1964, London: Heinemann} .
- Matheson, J. and Summer, C. (eds)** 2000 *Social Trends 30*, London: The Stationary Of. ce.
- Montgomery, D.** 1993 *Citizen Worker. The Experience of Workers in the United States with Democracy and the Free Market during the Nineteenth Century*, Cambridge: Cambridge University Press.
- Myles, J. and Quadagno, J.** 2000 'Envisioning a *Third Way*: the welfare state in the twenty-first century', *Contemporary Sociology* 29(1): 156–67.
- Nelson, D. D.** 1998 *National Manhood. Capitalist Citizenship and the Imagined Fraternity of White Men*, Durham and London: Duke University Press.
- Newby, H.** 1996 'Citizenship in a green world: global commons and human citizenship' in M. Bulmer and A. M. Rees (eds) *Citizenship Today. The Contemporary Relevance of T. H. Marshall*, London: UCL Press.
- Parker, J.** 1998 *Citizenship, Work and Welfare. Searching for the Good Society*, Houndmills: Macmillan.
- Pearce, J. L.** 1993 *Volunteers. The Organizational Behavior of Unpaid Workers*, London and New York: Routledge.
- Putnam, D.** 1993 *Making Democracy Work. Civic Traditions In Modern Italy*, Princeton, NJ: Princeton University Press.
- 1995 'Bowling Alone: America's declining social capital', *Journal of Democracy* 6(1): 65–78.
- Richardson, D.** 2000 *Re-Thinking Sexuality*, London: Sage.
- Rojek, C. and Turner, B. S. (eds)** 1993 *Forget Baudrillard?*, London and New York: Routledge.
- Runciman, W. G.** 1996 'Why social inequalities are generated by social rights' in M. Bulmer and A. M. Rees (eds) *Citizenship Today: The Contemporary Relevance of T. H. Marshall*.
- Titmuss, R.** 1962 *Income Distribution and Social Change: A Case Study in Criticism*, London: Allen and Unwin.
- Turner, B. S.** 1990 'Outline of a theory of citizenship', *Sociology* 24(2): 189–214.
- 1993 'Outline of a theory of human rights', *Sociology* 27(3): 489–512. 208 Bryan S. Turner
- 1997 'Citizenship Studies: A General Theory', *Citizenship Studies* 1(1): 5–18.
- 1999 *Classical Sociology*, London: Sage.
- Voet, R.** 1998 *Feminism and Citizenship*, London: Sage.
- Williams, R.** 1958 *Culture and Society 1780–1950*, London: Chatto & Windus.
- Wolin, S. S.** 1961 *Politics and Vision. Continuity and Innovation in Western Political Thought*, London: George Allen & Unwin.

Yuval-Davis, N. 1998 *Gender and Nation*, London: Sage.